სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 66

2016 წლის 07 აპრილი

ქ. თბილისი

„2016 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 18 მარტის N49 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „2016 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 18 მარტის N49 ბრძანებაში და მე-2 მუხლი ჩამოყალობდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. საერთაშორისო ოლიმპიადები, რომლებშიც მონაწილეობს საქართველო

1. საქართველო 2016 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებზე დელეგაციებს წარადგენს შემდეგ ხუთ დისციპლინაში:

ა) ფიზიკაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარდგება ფიზიკის 47–ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე, IPhO 2016 (შვეიცარია, ციურიხი, 11-17 ივლისი)

ბ) მათემატიკაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარდგება მათემატიკის 57-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე IMO 2016 (ჩინეთი, ჰონგ-კონგი, 6-16 ივლისი)

გ) ინფორმატიკაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარდგება ინფორმატიკის 28-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე IOI 2016 (რუსეთის ფედერაცია, ყაზანი, 12-19 აგვისტო)

დ) ბიოლოგიაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარდგება ბიოლოგიის 27-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე IBO 2016 (ვიეტნამი, ჰანოი, 16-24 ივლისი)

ე) ქიმიაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარდგება ქიმიის 48-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე IChO 2016 (საქართველო, თბილისი, 23 ივლისი-01 აგვისტო)“

2. შევიდეს ცვლილება „2016 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 18 მარტის N49 ბრძანებაში და მე-7 მუხლის 1-ელი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ბიოლოგიის საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობისათვის საქართველოს ნაკრები გუნდის წევრების შერჩევის პროცედურა ორი ტურისაგან შედგება. შესარჩევ ტურებში მონაწილების მიღება შეუძლიათ:

ა) მოსწავლეებს, რომლებმაც მე-10, მე-11 და მე-12 კლასის 2015 წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში დაიკავეს 1-20 ადგილი. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში თანაბარი ქულების გამო ვერ გამოიკვეთა პირველი ოცი მოსწავლე, მაშინ საერთაშორისო ოლიმპიადების შესარჩევ ტურში მონაწილეობას მიიღებს ყველა მინორანტი (მაგალითად: თუ მე–20, 21-ე და 22-ე ადგილებს იყოფს სამი მოსწავლე, შესარჩევ ტურში მიიღებს მონაწილეობას სამივე)“

3. შევიდეს ცვლილება „2016 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 18 მარტის N49 ბრძანებაში და მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. როგორც პირველ ისე მეორე შესარჩევ ტურში ბიოლოგიის ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატებს მიეცემათ 30 (ოცდაათი) ტესტი. თითოეული ტესტი ფასდება ერთი ქულით“

4. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება.

5. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

გიორგი ჟღენტი
გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი